პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

- ქალაქი ბათუმი ____ აგვისტო, 2024 წელი

„მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 23 დეკემბრის №გ-15.15203582 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. „მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 23 დეკემბრის №გ-15.15203582 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ბინის/ბინების გადაცემა შესაძლებელია განხორციელდეს გარემონტებულ მდგომარეობაში ან გარემონტების მიზნით ბინის სარემონტო სამუშაოებისათვის მერიის მიერ ერთჯერადად შესაძლებელია გამოიყოს თანხა - 1 კვ. მ-ზე 450 (ოთხას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით; “.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **რამაზ ჯინჭარაძე**

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 23 დეკემბრის №გ-15.15203582 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

როგორც ცნობილია, ქ. ბათუმის საკრებულოს 2020 წლის 23 დეკემბერს მიღებული იქნა №გ-15.15203582 განკარგულება „მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“. აღ ნიშნული განკარგულების, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით მრავალშვილიან ოჯახებზე ბინის/ბინების გადაცემა ხორციელდებოდა გარემონტებულ მდგომარეობაში ან გარემონტების მიზნით ბინის სარემონტო სამუშაოებისათვის მერიის მიერ ერთჯერადად გამოყოფილი თანხით - 1 კვ. მ-ზე 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყნის მასშტაბით საკმაოდ გაძვირდა სარემონტო მასალების ღირებულება, აღნიშნული განკარგულებით გათვალისწინებული სარემონტო თანხა არ არის საკმარისი საშუალო რემონტის ჩასატარებლად.

2023 წლის 30 მარტს საკრებულოს მიერ გამოცემული იქნა №გ-15.15230896 განკარგულება „ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების გეგმის - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანისაცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №გ-15.15221684 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომლითაც დამტკიცდა ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების გეგმა - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესი. აღნიშნული წესის, IV თავის, მე-11 მუხლის, მე-2 პუნქტით გათვალისწინებულია, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მდგომარეობამდე მიყვანის ნაცვლად შესაბამისი სანაცვლო ფულადი კომპენსაციის გაცემა, რომელიც განსაზღვრულია: ა) შავი კარკასის შემთხვევაში - 450 ლარის ოდენობით; ბ) არასრული რემონტის შემთხვევაში - 250 ლარის ოდენობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია,

- ბინის/ბინების გადაცემა შესაძლებელია განხორციელდეს გარემონტებულ მდგომარეობაში ან გარემონტების მიზნით ბინის სარემონტო სამუშაოებისათვის მერიის მიერ ერთჯერადად შესაძლებელია გამოიყოს თანხა - 1 კვ. მ. -ზე 450 (ოთხას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

მრავალშვილიანი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობე-სება, საერთო სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის განხორციელების შემთხვევაში, ბინის/ბინების გარემონტების მიზნით ბინის სარემონტო სამუშაოებისათვის ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერადად 1 კვ.მ. -ზე 450,0 (ოთხას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით თანხის გამოყოფა.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ქონების და სერვისების
მართვის სამსახურის უფროსი **დავით კოპინაძე**